N 01/09-202 ქ. თბილისი

15.09.2022წელი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების

და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 2016 წ. 8 ივნისის N5386-IIსკანონის მოთხოვნების თანახმად ვებ გვერდზე “reportal.ge” გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ შპს „უფაქ“-ის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „უფაქ“ აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე კანონის თანახმად აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs)“ ნორმების გათვალისწინებით.

Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:40:50 +04'00'

დირექტორი ----------

შპს „უფაქ”

(ს/კ:434158092)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის **31** დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. **კომპანია და მისი ოპერაციები:**

-წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

„კომპანია“ დაფუძნდა 2011წლის 24 მარტს და მდებარეობს საქართველოში, „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპსაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი მარნეული, ნარიმან ნარიმანოვის III ჩიხი,N 4

საიდენტიფიკაციო კოდი: 434158092;

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“დამფუძნებელი და წილის მფლობელია: ომან აჯალოვი 100% ;

კომპანიის დირექტორია - ომან აჯალოვი.

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა:საბითუმო ვაჭრობა ალკჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებით, სხვადასხვა ქიმიური ნაწარმით.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო:საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მიმზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა ავღნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელითდა ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გამოქვეყნებულია „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია „კომპანიის“ მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში (საქართველო, ლარი), სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემულიფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც „კომპანიის“სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. მათგან კომპანიაიყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-დან 51 წლამდე
მანქანა -დანადგარები	6-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 10 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმოგაანალიზებს ცვეთის არსებული მეთოდს და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმოცვლის აქტივის ცვეთის მეთოდს, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმოს მიერ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმოში ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (01,01,2021წ) კომპანიის ძირითადი საშუალებების ნაშთი 5710 ლარი (ნარჩენი ღირებულება) შეძენილი ძირითადი საშუალებების 00 ლარით და შემცირდა ამავე პერიოდის გაყიდული საქონლის ღირებულებით (1844 ლარი) და დარიცხული ამორტიზაციის თანხით 1765 ლარით, რის შედეგად საანაგიშგებო პერიოდის ბოლოს მათმა (ძირითადი საშუალებების) ნაშთმა შეადგინა 2101 ლარი.

არამატერიალური აქტივები

-კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივები, კერძოდ საბუღალტრო პროგრამა ფინა, რომელის

ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს 870 ლარს.

შეზღუდული სასაგებლო მომსახურების ვადის არ მქონე არამატერიალური აქტივებისათვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო ვადის რომელიც შეადგენს 5-10 წელს შეზღუდული სასასრგებლო ვადის მქონე

არამატერიალური აქტივებისათვის კი მათი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით თანაბარ წილად.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში (2021წ) კომპანიის საწყისი (01,01,2021წ) სასესხო ვალდებულება 452479 ლარი და მისმა დაუფარავმა ნაშთმა პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 00 ლარი.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების

შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს (მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები) შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა,

სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვირსათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, სარეალიზაციო ფასის დაფიქსირება ხდება აშშ დოლარში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით და ანაზღაურებაც შესაბამისად ხდება გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ამის შედეგად გამოწვეული სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში. გამომდინარე ასეთი მიწოდება/ანაზღაურების პირობებიდან საანგარიშო წლის ბოლოს ხორციელდება დებიტორული დავალიანების გადაფასება და სხვაობა აისახება კომპანიის მოგება/ზარალში კომპანიას არ აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, კომპანიის ძირითადი მომწოდებელი არარეზიდენტი საწარმოა, საქონლის მოწოდება და ანაზღაურება ხდება უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი). შესაბამისად საანგარიშო წლის ბოლოს ხდება კრედიტორული დავალიანების გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით. დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 6თვეს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობისანგარიშგებაში მოიცავსსაბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და შეადგენს 100 ლარს.

გაუნაწილებელი მოგება - საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს-1110419 ლარს,

გადაფასების რეზერვი-კომპანიას არ ერიცხება,

სხვა რეზერვი და დაფინანსება-კომპანიას არ გააჩნია

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში-კომპანიამ საანგარიშო პერიოდში მოახდინა 78000 ლარის დივიდენდების განაწილება.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამდაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მსს ფასს -თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუმზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2019 წელი.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიააკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა.

გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2022 წლის 25 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანიის დირექტორი: Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:42:18 +04'00'

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობა

ფულადი ერთეული- ლარი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	551546	2987	43469
სავაჭრო მოთხოვნები	633068	1700205	518212
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5560	5468	3438
მარაგები	29178	170838	619419
- მზა პროდუქცია			
- სხვა	29178	170838	619419
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		1660	8942
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	870	1183	1496
ძირითადი საშუალებები	2101	5710	17398
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	**1222323**	**1888051**	**1212.374**

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	107687	169711	260807
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	2395	29802	10706
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		2479	433
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		450000	170000
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	1722	3807	905
სულ ვალდებულებები	**111804**	**655799**	**442851**

Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:42:51 +04'00'

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	**100**	**100**	**100**
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	**1110419**	**1232152**	**769423**
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	**1110519**	**1232252**	**769523**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1222323**	**1888051**	**1212374**

Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:43:30 +04'00'

ფორმა **N2-** საქმიანობის შედეგები

	2021	2020
	საანგარიშგებო პერიოდი	**წინა საანგარიშგებო პერიოდი**
ნეტო ამონაგები	***153782***	***4556489***
საქონლის გაყიდვიდან	**153782**	***4551580***
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		***4909***
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	***(140526)***	***(3899904)***
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	***13256***	***656585***
სხვა შემოსავალი	**3164**	***11393***
დასაქმებულთა ანაზღაურება	***(21420)***	***(76030)***
ცვეთა და ამორტიზაცია	***(2079)***	***(5942)***
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	***(21625)***	***(16628)***
იჯარის ხარჯი		***(9800)***
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	***(834)***	***(21671)***
სულ საოპერაციო ხარჯები	***(42794)***	***(118678)***
საოპერაციო მოგება	***(29538)***	***537907***
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	***(192)***	***(4299)***
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	***(238)***	***(291)***
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	***(29968)***	***533317***
მოგების გადასახადი	***(13765)***	***(10588)***
მოგება/(ზარალი)	***(43733)***	***522729***
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		**-**

Oman Ajalov
Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:43:56 +04'00'

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	***(43733)***	***522729***
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	**1232252**	***769523***
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	***(78000)***	***(60000)***
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	***110519***	***1232252***

Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:44:20 +04'00'

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**1092956**	**(261395)**
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**4000**	**13180**
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(548205)**	**208851**
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**548751**	**(39364)**
სავალუტო კურსის ეფექტი	**(192)**	**(1118)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**2987**	**43469**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**551546**	**2987**

Oman Ajalov

Подписано цифровой подписью: Oman Ajalov
Дата: 2022.09.20 12:44:50 +04'00'

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	551546	2987	43469
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	633068	1700205	518212
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5560	5468	3438
მარაგები	29178	170838	619419
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	29178	170838	619419
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	1660	8942
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	870	1183	1496
ძირითადი საშუალებები	2101	5710	17398
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1222323	1888051	1212374
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	107687	169711	260807
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	2395	29802	10706
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	2479	433
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	450000	170000
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1722	3807	905
სულ ვალდებულებები	111804	655799	442851
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100	100
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1110419	1232152	769423
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1110519	1232252	769523
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1222323	1888051	1212374
სულ მოკლევადიანი აქტივები	1219352	1881158	1193480
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	111804	205799	272851

დირექტორი :

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**	**31/12/2020**
ნეტო ამონაგები	153782	4556489
საქონლის გაყიდვიდან	153782	4551580
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	4909
გაყიდვების თვითღირებულება	-140526	-3899904
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	13256	656585
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3164	11393
დასაქმებულთა ანაზღაურება	-21420	-76030
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2079	-5942
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-21625	-16628
იჯარის ხარჯი	0	-9800
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-834	-21671
სულ საოპერაციო ხარჯები	-42794	-118678
საოპერაციო მოგება	-29538	537907

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-192	-4299
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-238	-291
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-29968	533317
მოგების გადასახადის ხარჯი	-13765	-10588
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-43733	522729

დირექტორი :

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-43733	522729
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1232252	769523
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-78000	-60000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1110519	1232252

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2021**	**31/12/2020**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1092956	-261395
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4000	13180
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-548205	208851
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	548751	-39364
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-192	-1118
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2987	43469
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	551546	2987

დირექტორი :